N1

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ინგა ქარდავას მოსახლეობასთან ანგარიშის ჩაბარების მიზნით გამართული შეხვედრის ოქმი.

შეხვედრა გაიმართა 2025 წლის 25 ოქტომბერს, 26 მაისის ქუჩაზე.
შეხვედრა დაიწყო 13:00 საათზე , დამთავრდა 14:30 საათზე.
შეხვედრას ესწრებოდა: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ლევან უჩანეიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, მანანა გვიჩია, საკრებულოს წევრი, მარინე ნანეიშვილი, 26 მაისის, თაყაიშვილის, გუბაზ მეფისა და ბორჯომის ქუჩის მოსახლეობა.
შეხვედრას უძღვებოდა, ინგა ქარდავა.

დღის წესრიგი

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ინგა ქარდავას 2025 წელს გაწეული სამუშაოს შესახებ.

მომხსენებელი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ინგა ქარდავა.

მოსახლეობასთან შეხვედრაზე აღვნიშნე, რომ როგორც საკრებულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, აქტიურად ვიყავი ჩართული მუნიციპალიტეტისათვის ყველა მნიშვნელოვანი და საკეთილდღეო საკითხების განხილვა-დაგეგმვაში.

საკრებულოს სხდომებზე აქტიურად ვუჭერდი და ვუჭერ მხარს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელ მნიშვნელოვან სოციალურ და ინფრასტრუქტურულ პროექტს.

საკრებულოში ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, მოვისმინე სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში, ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი"-ს მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში, ა.(ა).ი.პ. „სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების" მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში, ა.(ა).ი.პ. „სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის" მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში, ა.(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში, ა.(ა)იპ "სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში, ა.(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში, ა.ი.პ „სენაკის საფეხბურთო კლუბის" მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში, შ.პ.ს. „სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების" მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში, შ.პ.ს. „სენაკის ბავშთა საავადმყოფოს" მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში, შ.პ.ს. „სენაკის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების" მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში, ა(ა) ი.პ. „სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების" სამსახურის ანგარიში და 2025 წლის I და II

კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის მიერ 2025 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის ანგარიში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2025 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში, ა(ა)იპ "სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს 2025 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში, ა.(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების 2025 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში, ა.(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრის მიერ 2025 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში, ა.(ა).ი.პ. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის" მიერ 2025 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში.

საკრებულოს სოციალური კომისიის წევრებმა, სოფლად და ქალაქად, სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ, ხანდაზმული და მარჩენალდაკარგულს, ჯამში 42 ოჯახს საახალწლო ნობათი გადავეცით, ვმონაწილეობდი ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში თემების მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრებში, ვესწრებოდი უნგრელი მხატვრის მიხაი ზიჩის სახელობის ჯილდოს გადაცემის ცერემონია რომელიც გაიმართა ზუგდიდში, დავათვალიერე საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ, 2024 წელს გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტების, მიერ განხორციელებული სამუშაოები, ჩემი და კომისიის წევრების ინიციატივით, სენაკის სათემო განათლების ცენტრში, დევნილი მოსახლეობისთვის უფასო ოფთალმოლოგიური აქცია ჩატარდა. ვმონაწილეობდი მერიის სოციალური სამსახურის მიერ შექმნილი კომისიის მუშაობაში, რაც სოციალურად დაუცველთა ოჯახების სამშენებლო მასალებით და სახლების გადახურვისათვის შესწავლას და მონიტორინგ ითვალისწინებდა. ჩემი ინიციატივით სენაკის ბავშვთა საავადმყოფოს უსასყიდლოდ გადაეცა გლიკოზირებული ჰემოგლობინის ანალიზატორი Clover A1C Self, რომელიც ოპერირებს, როგორც ვენური, ასევე კაპილარული მთელი სისხლით, სენაკში მცხოვრებ, მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლებს სააღდგომო ნობათი გადავეცით. მონაწილეობა მივიღე ქ. თბილისში, ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საპარლამენტო კომისიის საქმიანობის წარდგენისა და მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით გამართულ ფორუმში, დავესწარი სენაკის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების საქმიანობის ერთი წლის ანგარიშთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებას. ,,ვარდისფერი ოქტომბერი"-ს კამპანიის ფარგლებში, ჩვენი ხელშეწყობით სენაკში, 40-დან 70 წლის ჩათვლით ასაკის ქალბატონებს, უფასო მამოგრაფიული გამოკვლევა ჩაუტარდათ. საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის ინიციატივით, სენაკის სასპორტო სკოლა ახალი სახურავით გადაიხურა, სენაკში მცხოვრებ მოქალაქეებს საჭიროებისამებრ გაეწია სამედიცინო დახმარება.

მე, როგორც საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე და საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები, მთელი წლის განმავლობაში აქტიურად ვმონაწილეობდით სოციალურ პროექტებში და ჩვენ მუნიციპალიტეტში განხორციელებულ ყველა მნიშნელოვან ღონისძიებაში.

შეხვედრა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე ინგა ქარდავა